**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე, იგ. მუხრანსკის სახლებ-ში [illegible] ქვემოთ

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

ძველი ასოებით, ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანი [illegible] ზე მეტი.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.


## ტელეგრამმა

(„[illegible] ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 23 თებერვალს. გაზ. „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია: კიდევ იქნება საინტენდანტოს ჩინოვნიკების პროცესსი; ამბობენ, რომ ამ პროცესში 250 ჩინოვნიკამდის არიან ბრალდებულნი.

გაზ. „გოლოსში“ სწერია: თუმცა 1875 და 1880 წ. გამოცემული იყო უმაღლესი ბრძანება იმის თაობაზედ— თუ რა მიმართულება უნდა ჰქონოდა ციმბირის რკინის გზას; მაგრამ ამ გზის მიმართულების ხელ-მეორედ განხილვა მინისტრების კომიტეტს მიენდო კიდევ. თურქისტნის სამზღვარზე აღკრძალულია ევროპისა და ინდოეთის საქონლის შემოტანა ჩაისა, ქსიასა და ინდიგოს გარდა, რომელსაც დიდი ბაჟი დაედვა.

პეტერბურღის ბირჟა, 23 თებერვ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96 — | „ |
| მეორესი — — — — | 91 — | 12 |
| მესამესი — — — — | 91 — | 50½ |
| მეოთხესი — — — | 91 — | 12 |
| მეხუთესი — — — | 90 — | 5 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90 — | 5 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 — | 87½ |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 — | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — | 12 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 217 — | 25 |
| მეორე სესხის — — | 215 — | 50 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—19 | პენსი |
| ჰამბურღი — | 206—25 | ცენტი |
| პარიჟი — — | 254—50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## გამიჯვნის საქმე

თფილისი, 24 თებერვალს.

ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილი იყო ამას წინად ბატ. ზისერმანის საუბარი ჩვენ ახალ მთავარ-მმართებელთან თავად დონდუკოვ-კორსაკოვთან, რომელსაც, სხვათა შორის, ეთქვა, ჩემი ერთი უმთავრესთაგანი ზრუნვა კავკასიაში მიწის გამიჯვნა იქნებაო, რომ ყოველმა კაცმა იცოდეს—რა არის იმის საკუთრება, იმაზე იზრუნოს, შეამუშაოს და მით მოიპოვოს თავის სარჩოვო.

არ შეგვიძლიან, რომ არ თანავუგრძნოთ ამ გვარ მისგან გამოთქმულ ჩინებულს აზრსა მიწის გამიჯვნაზე, რადგან ამ სურვილის აღსრულებაში მოყვანაც მის ხელში არის და მას შეუძლიან წინ წაიყვანოს ეს ჩამორჩენილი საქმე.

მართლადაც და ჩვენ მხარეში მამულების გამიჯვნა ერთი უსაჭიროესთაგანი საქმეა, რომელიც შეუძლიან მარტო მთავრობამ მოგვანიჭოს. ეს გამიჯვნა ჩვენთვის მით არის აუცილებელი საჭიროება, რომ მამულის გაყოფით, რომელიც ზოგან რამდონიმე მონაწილეს ეკუთვნის, ხშირად მთელ თავად-აზნაურობის გვარსაც, რომელნიც ერთმანერთის მიუდგომლობით არ უგდებენ ყურსა და ისე ელუპებათ, ეს გამიჯვნა გააუქმებს ამ უთავბოლო მფლობელობას, რომელიც უშლის მეურნეობის გაუკეთესობას. იმედი გვაქვს, რომ, როგორც ჩადგამს ფეხს თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი ჩვენი ქვეყნის მმართველობაში, მაშინვე შეუდგება იმ პროექტის განხილვას და დამტკიცებას, რომელიც შეამუშავეს და შეადგინეს 1877 და 1878 წელს და რომლითაც უკეთ შეიცვლება ეხლანდელი გამიჯვნის წესი.

ამ გამიჯვნის ახალი წესების უკეთ წაყვანა, რასაკვირველია, დამოკიდებული არის უფრო იმ პირებზედ, რომელთაც მის ბედს ხელში ჩაუგდებენ.

ტეხნიკურის მხრით შეიძლება ეს საქმე უკეთ წავიდეს; შეიძლება უკეთესი ზემლემერები ამოირჩიონ, რომელნიც ეხლაც ემსახურებიან ოლქის სასამართლოებში და პალატაში და უკეთ იციან თავიანთი ნაწილი; მაგრამ სასამართლოს ჩინოვნიკებისა კი რა მოგახსენოთ! ამათი შოვნა-კი სწორედ ძნელი იქნება, რადგან ამათში თითქმის არც ერთი არ არის მომზადებული. ეს მისგან მოხდა, რომ ჩვენი სასამართლოები, რომელზედაც 1867 წელსა დეკემბრის 7-ის ბრძანებით მინდობილი იყო გამიჯვნის ნაწილი, იმოდენად ღარიბი იყო ჩინოვნიკებით, რომ ვერ შეადგინეს ყველა სასამართლოში ცალკე ნაწილი გამიჯვნისა, როგორც მაგ. შეადგინეს აპელაციის ნაწილი, სისხლის და სამოქალაქო საქმეებისა. იმდენიც კი ვერ მოახერხეს, რომ დაენიშნათ განსაკუთრებით ერთი წევრი სასამართლოისა გამიჯვნის საქმეების მართველად.

ამ შემთხვევაში თფილისის ოლქის სასამართლოში ერთად-ერთი კაცი იყო ბ. ზარბოვსკი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა გამიჯვნის წესები და ამ გვარი საქმეები განსაკუთრებით ამაზე იყო მინდობილი. სამწუხაროა, რომ ამან დაანება სამსახურს თავი და ჩაეწერა თფილისის სამოსამართლო პალატის ნაფიც ვექილად. ბატ. ზარბოვსკიმ, თუ არ ვცდებით, თავის სამსახური დაიწყო იმ დროს, როცა დაარსდა გამიჯვნის პალატა და იქ დაინიშნა კამისიის წევრად; მას შემდეგ ბევრი წილი დრო ამის შესწავლას უძღვნა და კარგად გაიცნო, როგორც გამიჯვნის წესები, ისე ადგილობრივი საკუთრების ადათი. ეხლა რომ სახელმწიფო რჩევაში წარდგენილი გამიჯვნის ახალი პროექტი არის, ამ პროექტის შედგენაში 1877 და 1878 წელსა დიდი ღვაწლი და ჯაფა ეკუთვნის ბ. ზარბოვსკის.

იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი მთავარ-მმართებელი მართლად მიაქ-

---

## „დროების“ ფელეტონი, 25 თებერვ.

### ქუთათური ამბები

(ვუძღვნი ქუთ. ქალაქ. რჩევას.)

„მამა ჩემი დალალი იყო მე
ნალბანდობას რა მჭიდაო!
ანდაზა,

ჩემდა ერთის მხრით სამწუხაროდ და მეორეს—ფრიად სასიამოვნოდ ეს წერილი იმისთანა კაცს და იმის იმ გვარი კალაპოტის ადამიანებს უნდა ვუძღვნა, რომ საანბანო ჭეშმარიტების განმარტებათა გადავსცილდე ვერაფერს გამიგებენ. ამიტომაც ვეცდები ყველაფერი, რაც შეიძლება ერთობ მდაბიოდ გამოვხატო, რომ ქუთაისის რჩევის ხმოს. ს. ღულაძემ და მისს ამქრებმა შეძლებისა და გვარ გაიგონ ქალაქის თვით მმართველობის სუნი შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის მნიშვნელობისა არსოვნობა (сущность), გამგეობის და რჩევის დამოკიდებულება და განწყობილება და სხვ...

ნუ იტყვის პატივცემული რედაქცია, ამისთანა განმარტებათა სხვაგან და არა გაზეთში უნდა ჰქონდეს ადგილიო, რადგანაც მოხსენებული ხმოსნისთანა წევრი ბევრია ჩვენს რჩევაში, რომელნიც საქმეს თვით აფუჭებენ, როგორც ის ცხადად ვუჩვენე პატივცემულ მკითხველებს ჩვენი გაზეთის № 25-ში, და ბრალს კი ხან გამგეობას სდებენ და ხან ორიოდე თანა-მოძმე განათლებულთა; საჭიროა ეს განმარტება და მათი გონებითი ძალის გამოაშკარავება, სხვათა შორის, იმიტომ რომ საზოგადოებამ და მთავრობამაც დაინახოს, რომ ქალაქი და თვით-მმართველობის არსოვნობა არაფერს შუაშია, თუ კი ეხლანდელი რჩევა ვერ ასრულებს სათანადოდ თავის დანიშნულებას...

აი ამიტომ ვთქვი, რომ ეს წერილი ჩემთვის ერთ კერძით სამწუხაროა და მეორეთი—ფრიად სასიამოვნო-მეთქი.

მდიდარ მასალად და საასპარეზო წერილად ჩვენ ავიღებთ ს. ღულაძის პასუხს (იხ. „დროება“, № 36), რომელიც ჩვენივე გაზეთის მე-14 №-ში დაბეჭდილ კორრესპონდენციის ვითომ გასამტყუნებლად არის დაბეჭდილი.

ავტორი ერთობ ტყუილად აუწაწმატებია იმ ჩემს წერილს, რომელშიაც ნამდვილად და კორრესპონდენციის შესაფერ სივრცელით აღწერილ იყო 13 იანვრის სხდომა რჩევისა, რომელზედაც ერთმა ხმოსანმა (ბ. ღ—მ) წარმოსთქვა:

— ამ სოლომონს იჯარით ხომ არ აუღია ლაპარაკი, ჩვენც გვაცადოს რამესი თქმა! ბ-ნო თავსმჯდომარევ, ნებას ნუ აძლევთ სოლომონს განუწყვეტლივ ლაპარაკისას.

ამაზედ „იფეთქა სოლომონის „მჭევრ-მეტყველობამ“: —რათაო? იმე.. და სხვ.“-მეთქი, და ასეც იყო მართლა. მაგრამ ეს სიმართლე გაუგებრობის გამო სწყენია მოხსენებულს პირს და უძღვნია ჩემთვის ნახსენები პასუხი, რომელშიაც პიროვნული და ზოგადი ელემენტები დომხალივით აურევია. რასაკვირველია, პირველს ელემენტებს მე უპასუხოდ დავტოვებ, თანახმად ანდაზისა „ყეფა ისმის ქარავანი მიდის“, თუმცა შიგ მოიპოვება ჩემზე აშკარა ცილის წამებანიც*). მეორეებს კი კვალში ჩავუდგებით და განვუმარტებთ, რამდენადაც ადგილი ნებას მოგვცემს.

ღ—ძის უსაფუძვლო აზრით, როგორც შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის დამამტკიცებელ სხდომებზე, რომელებზეც უარყოფილ იქმნა მისი აზრი,—უნდა გამორიცხულიყო ნახსენების აღრიცხვიდამ 9,926 მ. 50 კ. თავის საგაზეთო პასუხში ღ—ძე უკლებს ამ ჯამს შემოსავლის სტატიას და ყვინჩილასავით ტრაბახობს „ცხადად (?!) სჩანსო, რომ დეფიციტი 18,550 მ. კი არ არის (14¼ კ. დაჰვიწყებია, ალბად გულ-წრფელობით!!), როგორც თქვენ კორრესპონდენტი გარწმუნებსთო, არამედ—28,477 მანეთიო.“ ვარწმუნებდი და ეხლაც ვარწმუნებ მკითხველებს, რომ რჩევისაგან დამტკიცებულის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის სქემით—დეფიციტია სწო-

*) მაგ. „მკითხავს“ რას ნიშნავს უადგილოდ კორრესპ. ნახმარი ლექსი(?) „ს. ღ—ძემ დაიღლვაო.“ კორრესპონდენციაში ამისთანა სტრიქონი სრულიად არ არის ნახმარი! იხილეთ, თუ გნებავსთ „დროება“, № 14.

ცევს ამ საქმეს ყურადღებას და ეცდე-ბა, რომ ჩქარა საუკეთესო და განსა-კუთრებული სასამართლო დაწესდეს ჩვენი ქვეყნის გამიჯვნის საქმეებისა-თვის.

შრიგო არ იქნება, სანამ წარდგე-ნილი პროექტი დამტკიცდება, კავკა-სიის მხრის ყოველ ოლქის სასა-მართლოში (ოკრუჟნოი სუდში) ცალ-კე, განსაკუთრებითი გამიჯვნის გა-სარჩევი განყოფილება იყოს და ერთი ან ორი ამ სასამართლოის წევრი მარტოთ გასამიჯნავ საქმეებს გა-მოიკვლევდნენ, შეისწავლიდნენ და გაარჩევდნენ.

## დღიური

ჩვენს ქალაქს ესტუმრა, როგორც თვითონ აცხადებს, „ინდოეთში და სპარსეთში განვითარებული" ახალი თვალთ-მაქცი ბ. ლენცი. რადგან, დიდ-მარხვის გამო, თეატრები დაკე-ტილია ამ ჟამად, ამის გამო, თუმცა ეს თვალთ-მაქცი ბავრით ჩამოუვარ-დება უკან ამას წინად ჩვენს ქალაქ-შივე მყოფს კაზენოვს, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად ესევა ამის წარმოდ-გენებს არწრუნის თეატრში.

* * *

ბარონ კორფს, რომელსაც მინდო-ბილი აქვს ყირიმში გაჩენილის ვაზის ავადმყოფობის-ფილოქსერის მოსპობის საზოგადოებაში ულაპარაკნია იმაზე— თუ როგორია ეს ფილოქსერა და რა მდგომარეობაშია ახლა ამის მოსპობის საქმე ყირიმში. ბარონ კორფის სიტყ-ვით, ყირიმის ფილოქსერა იმით განსხ-ვავდება საფრანგეთის და საზოგადოდ უცხო ქვეყნებში გაჩენილ ფილოქ-სერისაგან, რომ იქ, უცხო ქვეყნებში, უფრო ნაზი ვაზებია და უფრო მალე ერევა ამ ვაზს, სამის წლის განმავა-ლობაში რაც უნდა დიდი ვენახი იყოს, გაანადგურებსო. ჩვენებურ, ყირიმულ ვაზს კი უფრო ღრმათა აქვს მიწაში ფესოები ჩამჯდარი და ამის გამო, თუ კარგი გამოცდილი თვალი არა, შვიდ წელიწადზე ადრე ვერც-კი შეატყობსო.

ეს ავადმყოფობა სულ 26 დესია-ტინა სივრცის ვენახებს გამოსჩენიათ ყირიმში. რომელიც მთავრობის გან-კარგულებით სულ აუჭრიათ და დაუწ-ვავთ. 255,000 მანეთი დაუხარჯავს ხაზინას ფილოქსერის მოსასპობელად. ბარონ კორფი არწმუნებდა ზემოხ-სენებულ საზოგადოებას, რომ ამ ჟა-მად ყირიმში თითქმის სრულიად აღარ მოიპოება ფილოქსერაო.

* * *

ბ. შაბუროვის სახლში ცეცხლის გაჩენის გამო, ტფ. გუბერნატორის კანცელარია, სახელმწიფო ქონებათა გამგეობა, საექიმო უპრავა, საგლეხო საქმეების კანცელარია გადაიტანეს ველიამინოვის ქუჩაზე ამიროვისა და მირზოევის სახლებში.

* * *

ერთმა ვიღაც იტალიელმა ჩამოიტანა ჩვენს ქალაქში პატარა ამერიკული მაშინები „პატაუკ", რომელიც ერთსა-და-იმავე დროს ქაღალდის საჭრელ იარაღსაც შეიცავს, შუშის საჭრელ-საც, პატარა ჩაქუჩსაც, დანების სა-ლესსაც და ბურღვსაც. რადგან მთე-ლი ეს მოწყობილობა ცოტად არის და იაფადაც ღირს (თითო მანეთად), ამის გამო დიდ-ძალი ხალხი ესევა და ბევრს ჰყიდულობენ. როგორც გვითხ-რეს, ორი დღის განმავალობაში სამი ათასზე მეტი გაუყიდნიათ.

* * *

ჩვენ წავიკითხეთ წერილი, რომე-ლიც თ. აკაკი წერეთელს მოუვიდა ამ დღეებში პოდოლის გუბერნიაში მცხოვრების ერთს ნემეციისაგან - ბ. ლეისტისაგან, რომელიც დიდის ქება-დიდებით იხსენიებს ჩვენს წარსულ ისტორიულ ცხოვრებას; ამბობს, სურვილი მაქვს, ეს თქვენი წარსუ-ლი ევროპას გავაცნოვო (ნემეცურ და პოლშურ ჟურნალებისათვის ვამ-ზადებ სტატიებს საქართველოზედაო) და ქთხოვთ ამ საქმეში ხელი მომი-მართეთო, ქართული წიგნები გამო-მიგზავნეთ და თქვენი ლექსები და დრამმატიული თხზულებანი გადამი-თარგმნეთ და აგრეთვე გამომიგზავნე-თო. ამასთანავე ბატ. ლეისტი აუწ-ყებს ჩვენს პოეტს, რომ ის სწერს ისტორიულ დრამმას, სახელად „რუსთველი", რომელშიაც თამარ-დედოფალი და იმ დროინდელი წარ-ჩინებული საქართველოს პირები არი-ან გამოყვანილიო. ამ ჩემს დრამმაში გამოხატული არისო ბრძოლა ძველ წესის მიმდევარ ქართველებსა და ახალ წესის, ახალ მიმართულების ქართვე-ლებს შორის, რომლის წარმომადგე-ნელებად ერთმანეთში შეყვარებული თამარ-დედოფალი და პოეტი რუსთა-ველი არიანო. იქნება ეს ჩემი დრამა ისტორიულ სინამდვილით კოჭლობ-დესო, ამბობს ბ. ლეისტი, მაგრამ მე მსურს გავაცნო ევროპას თქვენი დიდებული წარსული დრო და ამი-ტომ ცოტა ფანტაზიის ძალის-დატა-ნება მეპატიებაო.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! იქნება თქვენ მაინც შეგვიბრალოთ და მისცეთ ად-გილი ამ ჩემ წერილს თქვენ პატივ-ცემულ გაზეთში, რომ ვაღვიარო ჩე-მი და ჩემის თანამოძმეებისა გაჭირ-ვა:

აი რაში მდგომარეობს საქმე:

მე გახლავარ მღვდლად ზორის მა-ზრაში ჯავის საბლაღოჩინოში, სად.. გვყავს, ჩვენდა საუბედუროდ, ბლა-ღოჩინად მღვდელი ზრიგოლ ლ..-ღოვი. ჩვენ ვმსახურობთ ოსებში და ჯამაგირს გვიგზავნის „ქრისტიანობ.. აღმადგინებელი საზოგადოება". ზო-გი ჩვენგანი იღებს ოცს თუმანს, ზო-გი ოც-და-ოთხსა და ზოგი ოც-და-ათსა; ამაზე ზევით ჩვენი ჯამაგირი არ აღის; მხოლოდ ერთი მღვდელი იღებს ორმოც თუმანს, რადგანაც იმის მრევლი არის სწორედ ყაზბეგის მთის ქვეშ.

ეს ჯამაგირი ჩვენ უნდა მივიღოთ ოთხ თვეში ერთხელ, მაგრამ რო.. თვეც გაივლის ხოლმე, რომ ვერა-ფერს ვღებულობთ! მაგალითად ეხლა ენკენისთვიდგან ჯერ არაფერი მიგვი-ღია და იქნება მაისში მივიღოთ, ანუ აპრილში.

მეტი არაფერი შემოსავალი გვაქვს ამ მთის ხალხიდგან და არც ნება გვაქვს მთავრობისაგან, რომ ავიღოთ, ანუ ვინ მოგვცემს, რადგან თვი-თონაც ღარიბი ხალხია! აქაურ ხალხ.. ქერის მეტი არაფერი მოჰყავს და ისიც ცუდად; პურსა, ჩვენი წლის საზრდოს, ქართლიდგან ვეზიდებით. ქართლში რომ ხუთ მანეთად პური ვიყიდოთ, აქ ამოტანა თუმანი დაგვიჯდება, რად-განაც ურემი არა მუშაობს და ცხე-ნები უნდა ვიქირაოთ. სადგომი სახ-ლები არ გვივარგა და ზოგს სულ არა აქვს, რომ ჩვენის სახლობა დავდგეთ მრევლში. რადგანაც შესაძ-ლებელი არ არის, რომ ცოლ-შვი-ლით ვიყოთ იქ, ზოგს ჩვენგანს სახ-ლობა ჰყავს ქართლში და ორი თვ..

---

რედ 18,550 მ. და $14^1/_4$ კ., ამისი დამტკიცება შეუძლია არითმეტიკის ოთხი მოქმედების მცოდნე პირველი კლასსის ყველა მოწაფეს 88,261 მ. $14^1/_4$ კაპეიკიდამ 69,711 მანეთის გამოკლებით.

ჩვენ მოგვყავდა რჩევისაგან განხი-ლული და დამტკიცებული ნამდვილი აღრიცხვა და არა სოლომონ ლულა-ძის ოცნებით წარმოდგენილი, მო-ხსენებულს სხდომაზედ ჩაბახული და უყურადღებოდ დატოვებული. ამის-თვის მყვედრის ბატ. ლ—ძე, თუმცა მისის სურვილის წინაამდეგ მისი ყვედრება და კიცხვა კორრესპონდენ-ტის ღირსებაო უნებლიეთ ლალადე-ბენ.

„გამგეობა წესდების ძალით ვალ-დებულია შემოსავლის ანგარიშში უჩვენოს ნამდვილი და არა საეჭვო წყაროდამო"... რომელი ზაკონის-კა-ნონებში ამოიკითხეთ, ბ. ლ—ძე, თქვენ ეს?! ალბად. თქვენგანვე შე-თხზულში, რადგანაც „საქალაქო დე-ბულებაში" ამის მსგავსი არაფერი მოიპოვება, თუმცა მთელი ერთი თა-ვი საზოგადოდ ქალაქის ხარჯზე, შე-მოს.-გასავლის აღრიცხვაზე, ანგარი-შით მსვლელობაზედ და ანგარიშე-ბაზე შეტანილი და ორი მუხ-ლი—141 (2088) და 143 (2090) საკუთრივ აღრიცხვის შედგენაზე. (იხილე Городовое Положеніе, гл. 17 стр. 141—143). რა არის შე-მოს.-გასავლ. აღრიცხვა, თუ არ სქემა იმ შემოსავალთა, რომელთ მიღების იმედი ქალაქსა აქვს, და რომელთა-გან, ადვილად შესაძლებელია, ზოგი-ერთ სტატიამ იმის მეათედი ნაწილი მოიტანოს, რასაც მთლად მოელოდ-ნენ, ზოგმა ერთი-ორად მეტი და ზოგმა არც მეტი, არც ნაკლები. დე-და-მიწაზე არ შედგენილა, ვგონებ, იმისთანა აღრიცხვა, რომლიდამაც გა-მოეშვებინოსთ რომელიმე მუხლი შე-მოსავლისა, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ იგი საეჭვოაო! ადვილი შესა-ძლებელია საეჭვოდ გულის ხმობილის სტატიიდამ კაი ძალი შემოსავალი შემოვიდეს და ნამდვილ წყაროდამ მისი ნახევარიც არ შემატებოდეს კას-სას და ამ რიგად საეჭვოდ გამხდარი-ყოს შემდგომისათვის.

მომავლის შეუცდომელად განჭვრე-ტა ადამიანთათვის შეუძლებელია; ეს უთუოდ ასე იქნება და ის არაო, ეგ ამდენს მოგვცემს და იგი სულ არა-ფერს და ამიტომც მოლოდინიც ნუ გვექნებაო—ამას მარტო წინ-დაუხე-დავი ლაწირაკი იტყვის. აი რის გან-სამართებელად გვიწევს ბ-ნი ლოტბა-რი ვაჭარ-ხმოსნთა და ორიოდე სხვი-საც, რომელნიც უმრავლესობას შე-ადგენენ აქაურს რჩევაში... მოდი და ნუ იქნება დეფიციტი!..

მრავალ-გზის ჩაგვიბახავს და ეხლა თვით ეს ლოტბარი გვაძლევს წერი-ლობითს საბუთს, თუ რა გზა აურჩე-ვიათ დეფიციტის ასაცილებლად მას და მასთანვე მის მომხრეებს: „შემო-სავალი არ აკმაყოფილებდა გასავალს და მივეცი წინად რჩევას", რომ მას „შეემოკლებინა" („მოესპო" უნდოდა ეთქვა) შემდეგი თანამდებობანი: ა) ბუხ-გალტერისა, ბ) აღმასრულებელის მო-ხელისა (ეს თანამდ. მართლაც მოს-პეს) გ) საქმის მწარმოებელისა და მეოთხედ შეემცირებინათ კანცელარი-ის ხარჯი! ერთის სიტყვით როგორც მოსწრებულად სთქვა 13 იანვრის სხდომაზედ ხმოსანმა ანტ. ქურციკი-ძემ—ქალაქის გამგეობა მამასახლისის კანცელარიად გაეხადათ—დაეტოვები-ნათ ქ. თავი (მამასახლისი) ორი წევ-რი გამგეობისა (სოფლის მსაჯულნი) და ერთი მწერალი!! ამას ეძახის ხმოსანი ლ—ძე „გასავლის ხელის მოჭერას". არა, ბ-ნო სოლომონ, ამნაირად თქვენს გასავალს გინდ ხელი მოუჭი-რეთ და გინდ პროპკაც დაუცევით მაინც წიგივათ თქვენდავე საზიანო.. ქალაქის ბიუჯეტის კეთილ მდგომა-რეობა...

ტყუილად კი არ ამბობენ: „დრო-ება" დასავლეთ-სამხრეთ საქართვე-ლოს უფრო ეკუთვნის ვიდრე აღ-მოსავლეთს-ჩრდილოეთსო. ჩვენს გა-ზეთში არა-ერთს გზის იყო განხი-ლული, თუ რა გზაზე უნდა კადე-ნენ ასე შეცდომით მოღვაწე ხმოსა-ნი და მათ შორის ლ—ძეც, თუ ქა.. ბიუჯეტის გაუმჯობესობა უნდა.. სამწუხაროდ, ერთიოდე შემთხვევ.. გარდა (უძრავ მამულების გადაფა-სებისათვის კომმისიის დანიშნვა) ჩვენ.. ხმა უდაბნოში მღაღადებელად და.. და „მგლის თავზე სახარების კითხვა.. დაემზგავსა. მრავალ-გზის თქმულ.. რომ კიდევ არ განვიმეოროთ .. „ყრუსთვის ორ-ჯერ წირვა" არ მო.. გვივიდეს, ბ-ნ ლ—ძეს მივუთითე.. ზემოთ-მოხსენებულს № 25 „დრო-ებისას" რომელშიაც ქუთაისის წლ.. ვანდელ შემ.-აღრიცხვ. გამო სრულ.. ფელეტონის მესამედი ნაწილი .. გადაჭრელებული. იქ ვამბობდით, რომ ორიოდე საჭირო თანამდებობათა შე-სპობის, ან კანცელარიის ხარჯის ..

განმავლობაში ანუ სამის თვისა ორი სამი დღით ჩამოვხედავთ, თორემ სულ იქ ვართ და ვისმე გლეხის სახლში გვაქვს ბინადრობა.

როდესაც გვეღირსება ჯამაგირების მიღება, ბატონი ბლაღოჩინი გვაწვალებს, მინამ იმისაგან მივიღებდეთ. სამი-ოთხი დღე იმის კარებზე უნდა ვიდგეთ და მერმე ბევრის გინების და ლანძღვის შემდეგ იქნება გვეღირსოს იმისაგან ჯამაგირის მიღება; ისე გვამუნათებს, თითქო თავის ჯიბიდგან იძლეოდეს ის დალოცვილი! ახლა მამა ბლაღოჩინს გამოუგზავნია ქაღალდი ბატონ ეგზარხოსთან და დაუბეზღებივართ, თავიანთ მრევლში არ დაიარებიანო და ცოლ-შვილი იქ არა ჰყავთო და იმიტომაც ჯამაგირს ნუ გამოუგზავნითო და არ წარუდგენიართ ოთხი მღვდელი და ორი პრიჩეტნიკი. ჩვენს უბედურობას ეგ-ღა აკლდა; ის დალოცვილი ბლაღოჩინი რაღა ჩვენი ბატონი გახდა, რომ ჯამაგირსაც გვართმევს და უკანასკნელ ლუკმას გვიწყვეტს.

შარშან წინ ზაფხულში თვით „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების" კანცელიარიის გამგებელი ბ. სმირნოვი იყო აქ და იმან შეამოწმა ჩვენი მდგომარეობა და გვითხრა, რომ მინამ სახლებს არ დაგვიდგამენ, შეგიძლიანთო, რომ ცოლშვილი ქართლში გყავდეთო, და ეს ბატონი ბლაღოჩინი-კი რაღას ჩაგვაცივდა? იქნება იმიტომა, რომ ღარიბები ვართ და ბევრი „სამსახური" არ შეგვიძლია იმისი?

ბატონი ბლაღოჩინი რომ იწერება არქიელთან, მრევლში არ არიანო და ჯამაგირი არ ერგებათო, აბა ერთი დაგვიმტკიცოს, როდის არ ვიყავით და ვინ მოკვდა უზიარებელი, ანუ მოუნათლავი, ანუ ანდერძ აუგებელი ვინ დაიმარხა, ანუ რომელ მრევლის კაცმა შემოიტანა იმასთან ჩვენზე საჩივარი? აგერ ორი წელიწადზე მეტი გადის, რომ ბატონ ბლაღოჩინს მოუვიდა ფული სახლის გასაკეთებლად „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან" იმათის მღვდლებისათვის, მაგრამ სად გააკეთა, ის ფული თვითონ მიირთვა და უფულოდ ვერაფერი გაკეთდა... ჩვენ უნდა გვეჩივლა იმაზედ და თვითონ ჩივის! ხელისმოწყობის მაგიერია, რომ გვიშუამდგომლოს და ამ გაჭირებიდგან დაგვიხსნას!

იქნება ბატონ ეგზარხოსმა მიაქციოს ყურადღება და დგვიხსნას ამ ბლაღოჩინისაგან; ბლაღოჩინების ამორჩევის ნება მოგვეცესო, თორემ ჩვენ მაგას მალე მოუღებდით ბოლოს; ეხლა იცის, რომ ამორჩევა აღარ არის და იმიტომაც სულს გვართმევს, იცის, რომ ჩვენ ვერაფერს დავაკლებთ.

მთიული მღვდელი.

---

მთავრობისგან გაცემულ 1881 წლისა 21 ქრისტეშობის თვეს დანიშნული იყო აქაურს გუბერნიის სამმართველოში ვაჭრობა საგარეჯოს და ბორგი-წმინდის ცივების, ესე იგი საზაფხულო საქონლის საძოვარზედ. სხვათა შორის მეც წაველი გუბერნიის სამმართველოში სავაჭროდ და, თუ მეცა სხვებიც იყვნენ, მაგრამ ვაჭრობა ჩემზედ დარჩა 336 მანეთად.

ხუთი დღის შემდეგ ბორგი-წმინდის საზოგადოებას სათხოვარი გამოუგზავნა გუბერნიის სამმართველოში, რომ საგარეჯოს და ბორგი-წმინდისა საძოვრები იმათთვის მიეცათ იჯარით, ფასიც დაენიშნათ 330 მანეთი. ამ სათხოვრის გამო გუბერნიის სამმართველომ მე უარი მითხრა, თუმცა ჩემი ფასი 6 მანეთით მეტი იყო მაინც ბორგი-წმინდის საზოგადოებისაზედ: მოშალეს ჩემი ვაჭრობა, დანიშნეს მეორედ ვაჭრობა სოფელს ბორგი-წმინდას, თებერვლის 4-ს ამ 1882 წ.

ამ დროისთვის მეც წაველი ბორგი-წმინდას ხელ-ახლად სავაჭროდ. იქ დავინახე მოგროვილი ხალხი, ვიდრე 100 კაცამდინ სავაჭროდ მოსულნი და კიდევ ბ. ლესნიჩის ჩინოვნიკი; მხოლოდ ელოდებოდნენ ბ. პრისტავს. იმ დაგროვილ ხალხში გამოდგა მ. ბორგი-წმინდის ბლაღოჩინი და დაიწყო შფოთობით ლაპარაკი, წყევლა და ლანძღვა, გარეშე პირნი ამ ვაჭრობაში რად შემოდიანო; მ. ბლაღოჩინის მიხედვით ამ დაგროვილმა ხალხმან შექნა ჩემზედ შფოთით ლაპარაკი. მიველი და ბ. ლესნიჩის ჩინოვნიკს გამოუცხადე: — აქ მარტო ამ სოფლის ხალხს ეკუთვნის ვაჭრობა, თუ სხვათა პირთაც. ამან მაშინათვე უბძანა ბორგი-წმინდის მამასახლისს, რად უშლით სხვა პირთა ვაჭრობასო? მამასახლისმა უარი სთქვა: ჩვენ არაფერი გვითქვამსო.

ბოლოს, რადგან იმ დღეს ბ. პრისტავი არ მოვიდა, ვაჭრობა შეუსრულებელი დარჩა და სხვა დროსთვის გადადვეს.

ივ. ზურაბოვი.

# რუსეთი

(გაზეთებიდან)

უმეტეს საყურადღებო საგანს და გაზეთებისთვის საბაასო ამბავს ამ ჟამად მთელს ევროპაში [illegible] სკობელევი და მისგან წარმოთქმული სიტყვები შეადგენენ.

ნემეცურ გაზ.: *Presse*-ში სწერენ, სკობელევმა ღამე გაათია ვენაშიო და დილით ჩქარის მატარებლით პეტერბურღისაკენ გაემგზავრაო.

— ბოლგარიის უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრს, ვოლკოვიჩს უთქვამს, სკობელევის სიტყვა იმ განზრახვით არის წარმოთქმულიო, რომ ევროპის აზრი გაიგონო. მაგრამ რუსეთს ჰსურს მშვიდობიანობაო მას არც საშუალება აქვს და არც სურვილი ასტეხოს ომიო.

— რუსეთის ელჩს ბერლინში დიდი მწუხარება განუცხადებია თ. ბისმარკისათვის, სკობელევისაგან წარმოთქმულის სიტყვებს გამო. გერმანიის კანცლერს მიუგია, მე სრულიად დაკმაყოფილებული ვარო და ვიმედოვნებ, რომ რუსეთის მმართებლობა სკობელევის ქცევას თქვენებრ ახსნისო.

— გაზ. **„ბოლგარიის ხმაში"** მოყვანილია შემდეგი სიტყვები ღენ. სკობელევისა, ნათქვამი ერთი რუსის მხედარისათვის, რომელიც აღმოსავლეთ რუმელიაში მიემგზავრებოდა რუსეთიდამაო:

„— უთხარით პატიოსან რუმელიელებს, რომ მე არასოდეს არ დავივიწყებ მათ; უთხარით, რომ, როდესაც ისინი უკანასკნელ გაჭირებამდინ, კრიტიკულ წამამდე მიაღწევენ, მივეშველები და, თუ გამომიშვეს, გამოვალ სამსახურიდამ და ვიომებ მათთან ერთად. უთხარით, იმათ, რომ მე სიამოვნებით მოვკვდები იმ ქვეყანაში, სადაც ჩემმა დედამ ტანჯვით დალია სული".

— გაზ.: „გოლოსის" ვენელი კორ-

---

მცირებით*) რამდენიმე ასი მან. კიდეც დარჩეს, არაფერი გაკეთდებათქო. საჭიროა დაჩქარდეს უძრავ-მამულების გადაფასება, რომლის შემდეგ მარტო ამ შემოსავლით დაიფარება გასავალი, შემოღებულ იქმნას ის მრავალი კანონიერი გადასახადი, რომელიც პირადი ინტერესების მიმდევარ ხმოსანთ წყალობათ ქუთაისში არ არის და ამის გამო მოქალაქეთა საზოგადო ინტერესი ზარალობს-თქო და სხვ... გონებით ბრმის მეტი ყველა ირწმუნებს ამ მოსაზრების ჭეშმარიტებას.

იმ ფაქტიდამ, რომ გუბერნატორმა ჩამოართვა გამგეობას უმთავრესი წყაროები შემოსავლისა და მათი მობოჭვა პოლიციას — ჩვენგან მრავალჯერ შემკობილს — მიანდო, ლ—ძეს შემდეგი დასკვნა გამოჰყავს:

„ეს არის ნამდვილი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ქალაქის გამგეობამ ვერ ისარგებლა თვით-მმართველობით". აი ამას მიქვია მიჰქარვა. გამგეობამ თვით-მმართველობით ვერ ისარგებლა რა ჩინური სიტყვაა! რა არის გამგეობა, თუ არ ყურ-მოჭრილი ყმა, ერთგული მონა ქალაქის რჩევისა — ურომლოდაც ის ვერაფერს გააკეთებს და ვერც ვერაფერს წაახდენს? თუ იმის თქმა გსურსთ, გამგეობა იმიტომ ვერაფერს არიგებს*), რომ რჩევაში „ჯიბრობა და ქიშპობა არისო?" მაშ რჩევას ვერ უსარგებლებია, თუმცა მაინცა-და-მაინც არც ასეა, და თქვენ რად ახვევთ თქვენს ბრალს გამგეობის კისერზედ? სირცხვილია სანახევროდ ოცნებით წარმოდგენილის საკუთარი ჭირის სხვის თავზედ გადადება.... მკითხველ საზოგადოებას ჩვენმა გაზეთმა და ამ ბოლო დროს „შრომამაც" დაუმტკიცა, რომ რა-ესდენ უხამსია ხმოსანთ უმრავლესობა რჩევაში, მაგრამ ეს უკანასკნელი შედარებით ბევრად უკეთესად განაგებს ქალაქს, ვიდრე ქუთაისის გამლატაკებელი პოლიცია. თუ რჩევას, ვთქვათ უფრო ვრცლად — ქალაქის თვით-მმართველობას ვემდურებით, არა იმიტომ რომ პოლიციის გამგეობას არ სჯობდეს, არამედ უფრო მეტს სიკეთეს ვთხოულობთ იმისაგან... თუ დღეს ხმოსანთ შორის „ჯიბრობა" არის, იმიტომ რომ უმრავლესობა მათი იმისთანა უმეცართაგან შესდგება, რომელთაც დეფიციტის ასაშორებლად და ბიუჯეტის გასაუმჯობესებლად სრულიად საკმაო და ერთად-ერთ სახსრად ჰგონიათ გამგეობაში საჭირო თანამდებობათა მოსპობა, შემცირება გამგეობის ჯამაგირისა, (რომელიც მათის აზრით თითქმის მესამე მნიშვნელობიანი საქმეა) და თუ წადილი აისრულეს თავი *pater patria*-დ მიაჩნიათ!

ჩვენ გვსურს ამისთანა ხმოსანთ რიცხვის თან-და-თან შემცირება და მოსპობა, და არა თვით-მმართველობის გაქარწყლება, როგორც ლ. ა—ძემ წამოროშა 13 იანვარს; რომ „ჯიბრობა" გონივრულ დასიანობად გადაიქცეს, რადგანც უდასოდ შეუძლებელია საზოგადო საქმის ყოველმხრივი განხილვა; გვსურს მოხსენებულ ხმოსანთ აცილებით თვით-მმართველობის აყვავება და დღე-გრძელობა. წარმოიდგინეთ, ბ-ნო ლ—ძე, ისიც გვსურს თქვენ წინაალმდეგ, რომ თვით-მმართველობის წარმომადგენელთაგან არჩეულ საპატიო პირთ ყველას საკმაო ჯამაგირები ეძლეოდეს, რომ ნივთიერის მხრით უზრუნველ ყოფით სულითა და გულით მიენდონ ისინი საზოგადო საქმეებს, ვინც უნდა იყვნენ იცით: ლ. ასათიანი, თუ ივ. მესხი, ა. გაბაშვილი, თუ თუმანიშვილი...

და დასასრულ ისიც გვსურს, რომ თქვენ რჩევაში ამიერ საფუძვლიანად გელაპარაკნოსთ და თუ უპასუხოპასუხების წერას არ მოიშლით, უფრო ლოღიკით და ზრდილობიანად გვწეროსთ, თორემ გაგეგონებათ ხალხური ლექსი:

უკუდო ვინმე კუდისა
საძებრად იარებოდა,
მეველემ მოჭრა ყურიცა, —
არა თუ კუდი ჰკრგებოდა!

„დროების" ქუთაისელი თანამშრომელი.

ქუთაისი, 19 თებერვ.

*P. S.* 13 იანვრის ქ. რჩევის სხდომაზედ და გამგეობის გადასახადების მობოჭვის პოლიციის ხელში გადაცემაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

*) რა უაზრობაა! რას ჰქვია კანცელარიის ხარჯის შემცირება? თუ კი საქმისთვის საჭიროა, არ იყიდონ ქაღალდი და სხ. ხელსაწყობი დასაწერად?! უსაქმოდ ხომ არავინ დასწერს არაფერს, ან გამგეობა ხომ არაფერს ჩამოარჩება, ხომ არ აჩვენებს ხარჯად, თუ მართლა არ დაუხარჯავს!

*) ამის შემდეგ ლ—ძე კიდევ ამბობს, ჩემი წინადადებანი ამის წინასწარმეტყველი აკი იყოვო! თავის ქება კიტრად ღირს, ბ. ს. ლ—ძე!!

რესპონდენტი იწერება სხვათა შორის შემდეგს იმ შთაბეჭდილებაზედ, რომელიც სკობელევის სიტყვებმა მოახდინა იქ:

„იმ ძლიერის გაკიცხვის გამო, რომლითაც აქაური ბეჭდვა საზოგადოდ შეხვდა ღენ. სკობელევისაგან წარმოთქმულს უადგილო, განუზომილ სიტყვებს, აქაური საზოგადოება მეტისმეტად აღელვებული იყო თითქმის ერთი კვირის განმავლობაში; მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში კი ცოტაოდნად დამშვიდდა. უმთავრეს მიზეზად ამ დამშვიდებისა შეიძლება მოვიყვანოთ გაზ. „გოლოსის“ სიტყვები, რომელიც ერთს აქაურ გაზეთში იყო გადმოცემული. ამ სიტყვებიდამ დარწმუნდა აქაური საზოგადოება, რომ აკსაკოვის გაზეთი „რუს“ არ შეადგენს მთელს რუსეთს და ღენ. სკობელევი, სულაც არ იყო პარიჟში რუსეთის ხალხის დანდობილ პირად გაგზავნილი. ღენ. სკობელევს რომ გაეგონა ყველა ის ხმები და მოსაზრებანი, რომელნიც აქაურ რუსეთის თანამგრძნობ წრეებშიაც იყო გავრცელებული, მისგან პარიჟში წარმოთქმულის სიტყვების გამო, ცხადად დაინახავდა, რომ დიდი პატივი და სამსახური ვერ გაუწია თავის მმართებლობას. სკობელევმა დაგვარწმუნა ჩვენ, რომ შეიძლება კაცი ძალიან მამაციც იყო, შესანიშნავად ამარცხებდე მტერს ბალკანზედ და ახალ-თეკეში, მაგრამ პოლიტიკაში კი ძრიელ ნაკლებად გიჭრიდეს თვალი“.

— იმავე გაზეთის კორრესპონდენტი ამავე საგანზედ იწერება ბერლინიდამ, რომ ღენ. სკობელევის გამოხმობამ პეტერბურღში სასიამოდ იმოქმედა აქაურს საზოგადოებაზედ. აქედამ სჩანს, რომ ოფიციალური დამოკიდებულება და კეთილი განწყობილება რუსეთსა და გერმანიას შორის იგივე იქნება, რაც დღემდის არსებობდა, არც შემდეგში მოისპობა.

# ანგარიში
## საბუე-ენისლის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა
### 1881 წლისა.

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 3,385—91 | გასესხებული — — | 5,886—80 |
| | | დანაშთენი: | |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 2,974—41 | ნაღდ ფულად — — | 653—25 |
| სათადარიგო თანხა — | 201—58 | თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი | 100— „ |
| მოგება— — — — | 78—15 | | |
| სულ | 6,640— 5 | სულ | 6,640— 5 |

### 1880 წლისა:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 473 11 | წილის ფული — — | 356—93 |
| სირგებელი, გამორთმეული სესხობის ანუ მეორე ვადის მიცემის დროს — — — | 810—35 | 1880 წლის მოგებიდგან წილებზედ მიცემული— | 11— „ |
| ჯარიმა — — — | 132—65 | გასესხებული — — | 6,347— „ |
| დაბრუნებული სესხები— | 5,120—80 | სარგებელი მიცემული ვადაზედ წინ დაბრუნებულის სესხისა— — | 1—14 |
| სათადარიგო თანხა — | 18—41 | სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 84—40 |
| | | სამმართველოზედ — — | 19—55 |
| | | ალებ-მიცემისა — — | 55—15 |
| სულ | 6,555—32 | სულ | 6,875—17 |

### 1-ს იანვრისათვის 1882 წლისა არის

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 3,502— 9 | გასესხებული — — | 7,113— „ |
| | | დანაშთენი: | |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 2,890— 1 | ნაღდ ფულად — — | 333—40 |
| სათადარიგო თანხა — | 219—99 | თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი | 100— „ |
| მოგება— — — — | 934—31 | | |
| სულ | 7,546—40 | სულ | 7,546—40 |

### გამოყვანა მოგებისა ანუ ზარალისა 1881 წლისა

1-ს იანვარსა 1881 წელსა იყო:

| | | | |
|---|---|---|---|
| მოგება— — — — | 78—15 | ზარალი — — — | „—„ |

1881 წელში:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| სარგებელი გამორთმეული გასესხების ანუ მეორე ვადის მიცემის დროს | 810—35 | წმინდა მოგებიდგან 1880 წ. | |
| ჯარიმა — — — | 132—65 | ა) წილის ფულზედ მითვლილი — — — | 47—74 |
| | | ბ) სათადარიგო თანხაზედ | 18—41 |
| | | სარგებელი ვადაზედ წინ დაბრუნებულის სესხებისა | 1—14 |
| | | სამმართველოს ხარჯი — | 19—55 |
| სულ | 943— „ | სულ | 86—84 |

1-ს იანვარს 1882 წელს არის:

| | |
|---|---|
| მოგება— — — — | 934—31 |

საზოგადო ყრილობის გარდაწყვეტილებით 17 იანვარს 1882 წელსა, 1881 წლის მოგება მიეთვალა:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| სარგებელი მისაცემი სასარგებლოდ შემოტანილის ფულებისა | 114—10 |
| სათადარიგო თანხას — — — — — — — — | 80—80 |
| მოგება წილზედ 1881-ს წლისა — — — — — — | 541—76 |
| სამმართველოს ჯილდოდ — — — — — — — | 150— „ |
| ს.-პეტერბურღის კომიტეტის განყოფილების სასარგებლოდ — | 7— „ |
| სარგებელი მიუცემელი 1880 წლისა — — — — — | 12— „ |
| შესადგენად თანხისა განსვენებულის თ. ა. ილ. ვასილჩიკოვის სახელობაზედ — — — — — — — — — | 8— „ |
| ენისლის სკოლის სასარგებლოდ — — — — — — | 20—65 |
| სულ | 934—31 |

თავსმჯდომარე რჩევისა თ. გიორგი დავითის-ძე ჯორჯაძე.

წევრნი რჩევისა: ივანე დათიაშვილი, ნინიკო მჭედლისშვილი, ლაზარე ნერსესაშვილი, სვიმონ ხეჩიაშვილი და ლევან ხატიაშვილი.

წევრნი გამგეობისა: ნიკო ხატიაშვილი, ნიკო კონჭოშვილი, სპირიდონ ველიაშვილი.

(3—2)

# ისყიდება

25% ნაკლებ ... ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ივოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრავები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლეონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხის, 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორი (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნაცვარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—86)

ბრიქურროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

# განცხადებანი

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამფ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანის სიგარები. (100—78)

## ტაქსის

აკვებაკ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 თებერვლიდამ 1 მარტამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_1$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $3^1/_1$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | $4^1/_1$ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 12 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Февраля 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.